საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი: გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 42 ოქტომბერი 11 1898 წ. № 42

შინაარსი: ტელეგრამა უმავთულოთ.—თეატრი ნ. ყორდანიასი.—სხვა-და-სხვა ამბავი.—„კვალის“ კორესპონდენციები.—კვირიდან კვირამდე.—საზღვარ-გარეთ.—*** ლექსი ი. ევდოშვილისა.—ჩინეთ-იაპონიის ეკონომიური მდგომარეობა (დასასრული) B. Bt.-ისა.—„ბულცივოზამ“! ეტიუდი შ. არაგვისპირელისა.—წერილები რედაქციის მიმართ.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც აქამდის რედაქცია იმყოფებოდა.

მ ა რ კ ო ნ ი.

ტელეგრამა უმავთულოთ.

როგორც ვიცით დღემდე ტელეგრამის გასაგზავნ-გამოსაგზან საშვალებათ მავთულებს ხმარობენ. დღეს ერთ იტალიელ ფიზიკოსს, მარკონის, აღმოუჩენია ახალი საშვალება უმავთულოთ ტელეგრამის გაგზავნისა, რომელიც დამყარებულია გერცის ელექტრო-მაგნიტურ თეორიაზე. ამ თეორიით ელექტრონი, სინათლის მსგავსათ, წარმოადგენს ტალღებისებურ მოძრაობას ეფირისას, რომელიც იფანტება ყოველ მხრივ სწორეთ ისე, როგორც წყალი, რომელშიაც ქვას ჩააგდებენ. აი ამაზე დაამყარა მარკონიმ თვისი ახალი გამოგონება ტელეგრამის გასაგზავნი აპარატისა. იგი შედგება ორი მეტალის ნაწილისაგან, რომლებშიაც განსაკუთრებული ელექტრონის მანქანით ჩნდება მძლავრი ნაპერწკლები. ესენი აჩენენ ელექტრონულ მოვლენებს ჯერ ახლომახლო ჰაერში და მერე კი შორეულში. ამნაირათ ელექტრონი პირველად ადგილიდან იფანტება ყოველ მხარეზე ტალღების მაგვარათ და თანდათან სუსტდებიან რაკი განშორდებიან თვისს ამამოძრავებელ მანქანას. აი ამ ელექტრონულ ტალღებს იჭერს დეპეშის მისაღები აპარატი, რომელშიაც მოძრაობს ზარი ან ჩაქუჩი. გორზეს ტელეგრაფულ ნიშნების შემწეობით ეს ჩაქუჩის რაკუნი ან ზარის ცემა, შესაფერი ხანგძლივობით, ტელეგრამას დანიშნულებისამებრ გადასცემს.

მარკონის ცდას, მართალია ჯერ-ჯერობით შესამჩნევი ცვლილება არ მოუხდენია ტელეგრაფის ტეხნიკაში, რადგან იგი მხოლოთ 10—15 ვერსის მანძილზე სცადეს, მარა მომავალი კი მისია. მარკონი სულ 22 წლის ახალგაზდაა და აგერ რამდენიმე წელია სწავლობს ელექტრონის ძალას ბოლონიის პროფ. დ. რიგის ლაბორატორიაში.

თ ე ა ტ რ ი.

I

ჩვენც შევედით კულტურულ ხალხთა შორის. ჩვენც ავყევით მოწინავე ერებს და ჩვენ არსებაში ახალ-ახალი მოთხოვნილება აღმოვაჩინეთ. ეს ვაჭრობაო, ეს მწერლობაო, ეს ხელოვნებაო - სუყველა ეს და სხვა ასეთები საჭიროა, ცხოვრების აუცილებელი პირობააო გვითხრეს და ჩვენც ამას ვუჩიჩინებთ ჩვენ თავს. ხან ერთი მიიპყრობს ჩვენ ყურადღებას, ხან მეორე, ხან მესამე და ხან ყველა ერთათ გაგვიტაცებს. ერთი ერთ სარბიელზე მოქმედობს, მეორე მეორეზე და ყველა ერთათ საერთო ნაციონალურ ასპარეზზე. მრავალ ამ ბედნიერებათა შორის გვაქვს ერთი ბედნიერებაც, რომელზედაც ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ და ძალიან ცოტას ვამბობთ. ეს არის თეატრი. დიახ, ისე შორს წავედით, რომ ბოლოს თეატრიც გავიჩინეთ, ტრუპპაც შევადგინეთ, პიესებიც დავწერეთ, წარმოდგენებიც გავმართეთ. წარმოდგენები - არა მარტო ქალაქებში, არამედ დაბებში და, ასე გაშინჯეთ, მიყრუებულ სოფლებშიაც კი. მართალია ეს ჯერ რაღაც ერთი-მეორეს არ ეკერება, რაღაც ნაძალადევი გამოდის, მარა რა ვუყოთ მერე? ჩვენ გვეჩქარება, უცებ გვინდა გადავხალისდეთ და განა სიჩქარე კარგ საქმეში დასაძრახისია? რაც უნდა იყოს ბედმა (თუ უბედობამ) ეს გვარგუნა და სულ რომ ვიძახოთ: ნელა, ნელაო, ერთი გოჯითაც უკან ვერ დავრჩებით. მაშ, ისევ წინ, წინ არის აღთქმული ქვეყანა, მარა იქ შესვლისათვის საჭიროა არა ებრაელებივით უდაბნოში ტანტალი, არამედ თვალხილული სიარული და პირდაპირი გზა-კვალი. და უკან-ჩამორჩენილთ ის ნანატრი შემთხვევა აქვთ, რომ ამ გზა-კვალს მათ მოწინავენი ამცნევენ ხოლმე. თეატრსაც აქვს ერთი ასეთი გზა-კვალი, აქაც იყვენ და არიან მოწინავენი და გზის მაჩვენებელნი. მაშ გადავიხედოთ ერთი იმათკენ, გავიგოთ მათი სვე-ბედი და მერე გადმოვიხედოთ ჩვენკენ, გავიგოთ ჩვენი ავკარგი.

თეატრი პირველათ გამოგონილ იქმნა გასართობათ, დროს გასატარებლათ, მარა ისე, რომ ამას რაიმე აზრი და მნიშვნელობა ჰქონებოდა. ამიტომ ის უნდა აღმოცენებულიყო ისეთ ქვეყანაში, რომლის მცხოვრებთ მეტი თავისუფალი დრო და ნაკლები საქმე ჰქონდათ. ასეთი ქვეყანაა ძველი საბერძნეთი, ასეთი ხალხია ძველი ბერძნები. მთელი საბერძნეთი წარმოადგენდა ქალაქთა ჯგუფს, რომელთა შორის ვიწრო კავშირი იშვიათათ ყოფილა, ხოლო შუღლი და ბრძოლა კი ხშირი. აი, ამ ქალაქებში ცხოვრობდენ ბერძნები, სოფლებში კი მონები ჰყავდათ და მიწაადგილს ამუშავებდენ. ბერძენი იმ ახირებული შეხედულობის იყო, რომ მუშაობა, ფიზიკური შრომა, ადამიანის შეურაცხმყოფელი და დამამცირებელიაო. და რადგანაც თავის თავს ქვეყნის პირველ მოქალაქეთ თვლიდენ, შრომასაც, რასაკვირველია, არ კადრულობდენ და მას ბარბაროსთ (ე. ი. არა-ბერძენთ) ახვევდენ თავზე. მთელი მისი ნივთიერი ცხოვრება მონის მარჯვენაზე იყო დამყარებული, უკანასკნელ ღარიბ მოქალაქესაც კი ერთი ორი მონა მაინც ეყოლებოდა და მით იოლათ მიდიოდა. ამასთანავე მოთხოვნილებაც ცოტა ჰქონდა ზეთის-ხილი, ზეთი, თევზი და მწვანილეულობა — აი მისი გასტრონომიული ავლა-დიდება. მას არ ჰყავდა არც მეფე და არც სხვა ვინმე ბატონი; ის ირჩევდა მსაჯულთ, მხედარ-მთავართ და ღვთის-მსახურთ. ესენი განაგებდენ ქვეყანას ვადის გასვლამდის. შიგნით, თავისი სიტეს (ქალაქის) საზღვრებში, იმას არავინ არ აწუხებდა, ცხოვრებაც მწყობრათ და წეს-რიგით მიდიოდა. სამაგიეროთ მისი მუდმივი მტერი იყო მეორე სიტე და ის ველური ხალხები, რომელნიც საბერძნეთის ახლომახლო ცხოვრებდენ. ომი, სისხლის ღვრა მათ შორის მუდმივი იყო. და რადგანაც მაშინ ხელი-და-ხელი ომი იცოდენ, ამიტომ ფიზიკური ძალა, სიმარდე და სიყოჩაღე მებრძოლის უპირველეს და უძვირფასეს თვისებებს შეადგენდა. და ბერძენიც შეუდგა ამ თვისებების მოპოებას და განვითარებას. მისი ერთათ ერთი საქმე ფიზიკური ვარჯიშობა გახდა. ჭიდაობა, ნადირობა, გაქცევა, თამაშობა — აი რაში ატარებდა დროს ბერძენი. განვითარებული სხეული, გამაგრებული ორგანოები ხალხის იდეალათ შეიქმნა. ამიტომ შეუდგენ ტიტველი ადამიანების გამოქანდაკებას, რომ ყველასთვის ნათელი და აშკარა ყოფილიყო თუ ხეულის რომელი ნაწილის რანაირი განვითარება იყო საჭირო. ღმერთებიც კი მამაც ადამიანებათ წარმოიდგინეს, რომელნიც მათთან ერთათ იბრძოდენ ომის ველზე. იგონებდენ სხვა-და-სხვა საშუალებებს ხალხის ამ გზაზე წასახალისებლათ. აი, ამათ შორის ათინაში გამოიგონეს თეატრიც ე. ი. ისეთი შენობა, სადაც შეიძლებოდა დანახვა სხვა-და-სხვა საგულისხმო და მისაბაძავი მოქმედებისა. წარმოდგენა ჩვეულებრივ შეიცავდა რომელსამე მხედარმთავარის და გმირთა-გმირის მრავალ-ნაირ ბრძოლას და გამარჯვებას (უფრო კი დიონისიის ამბებს 405—367 წ.წ.). ამნაირათ, ბერძენთათვის თეატრი გახდა ყოჩაღობის და გულადობის გამამტკიცებელ იარაღათ. ეს იყო იმდროის მოთხოვნილება და ამას ემსახურებოდა თეატრიც. რამდენსამე საუკუნის რთულ ცხოვრებას შემდეგ, საბერძნეთი დაეცა, ის დაიმორჩილა რომმა, რომელმაც კულტურა და ზნე-ჩვეულე-

ბა დამორჩილებული ხალხისა მიიღო. მან მიიღო აგრეთვე თეატრიც, რაც იმავე დანიშნულებას ასრულებდა. მარა რომის უკანასკნელ ხანებში თეატრი უფრო-და-უფრო გართობის ხასიათს ღებულობს და ძველი აღმზრდელი მნიშვნელობა ეკარგვის. გაირყვნა და დაეცა თვითონ რომი, გაირყვნა და დაეცა მისი თეატრიც.

რომის ნანგრევზე აშენდა ქრისტიანთა საზოგადოება. ქრისტეს მცნება მოეფინა ხალხთ და გახდა სახელმწიფო სარწმუნოებათ. სამღვდელოებამ, როგორც კი ხელთ იგდო უფლება, მთელი თავისი ძალღონით გაილაშქრა ძველი ზნე-ჩვეულებების და კლასიკური ნაშთების წინააღმდეგ, როგორც კერპობის და ულვთოობის ნაყოფის. მარა მან დაიტოვა თეატრი, შეუცვალა მხოლოთ საგანი და მიმართულება. ახლა მანაც დაიწყო წარმოდგენები, რომელთა შინაარსი სამღვთო წერილიდან იყო აღებული. სცენაზე გამოვიდენ ქრისტე, მოციქულნი, ანგელოზები, ეშმაკები და სხ. თეატრი გადაიქცა სარწმუნოების გამაერცელებელ და გამამტკიცებელ იარაღათ. ხალხი გაიქღონთა სარწმუნოებით და თანახმათ ამისა შეიცვალა ხელოვნებაც. პოეზია, ქანდაკება, მხატვრობა ღვთის-მეტყველების გზას დაადგა. ყველაფერს წმინდანური და მოკრძალებითი შეხედულობა მიეცა. და ბოლოს საშუალო საუკუნოების რელიგიური შეხედულობანი დანტემ თავის შესანიშნავ „ღვთიურ კომედიაში“ მოათავსა (1265—1321 წ.წ.). ეს თხზულება იმ ხანის საუკეთესო გასაღებია. აი, ასეთ პირობებში ჩაისახა ახალი საზოგადოება და მისმა თან-და-თან განვითარებამ ძირი მოუთხარა ძველ საზოგადოებას. პაპის უფროსობა გაანადგურა რეფორმაციამ, ხოლო ღვთის-მეტყველებითი ხელოვნება დასცა „აღორძინებამ“ (რენესანსი). როგორც კი შესუსტდა ბატონობა სამღვდელოების, შესუსტდა მისი ხელოვნებაც. ახლა დაიწყეს ისევ ძველი კლასიკური ხელოვნების განახლება (ამიტომ დაერქვა ამ ხანას „აღორძინება“). რაფაელმა დახატა ღვთისმშობელი, როგორც უბრალო ქალი. მიკელ-ანჯელომ გამოაქანდაკა მოსე წინასწარმეტყველი სანახევროთ ტიტველი, რასინმა თავის პიესებში გამოიყვანა ძველი საბერძნეთის გმირები: აგამემნონი, ახილესი, მიტრიდატი, თემისტოკლი და სხ. ამით მიეცა დასაბამი ვითომ და კლასიკურ ხანას მწერლობაში. მარა აქ არა იყო რა კლასიკური გარდა მომქმედი პირების სახელებისა. ესენი ლაპარაკობდენ საფრანგეთის სასახლის ენით, აღჭურვილი იყვენ სალონური მორიდებით, მოარშიყეს კომპლიმენტებით, რაინდული თავაზიანობით—ერთი სიტყვით ეს ვითომ და ძველი ბერძნები თანამედროვე ფრანგები იყვენ. ცხადია, საზოგადოება შეიცვალა და ეს ცვლილება ძალაუნებურათ აღბეჭდა პოეტმა. რას შეიცავდა ეს ცვლილება? სამღვდელოების ბატონობასთან ერთათ ფეოდოლთა თავ-აშვებულობაც შეიმუსრა. უძლიერესი ფეოდოლი მეფეთ გახდა, ხოლო მისი თანაამხანაგნი მე-XIV საუკუნეში მის მოხელეებათ, მე-XVII საუკუნეში კი მისი სასახლის კარის-კაცებათ. უსაზღვრო ეტიკეტები, თავ-ბრუ დამხვევი მორიდება, ქალების გალმერთება—აი, არისტოკრატიის სიმბოლო სარწმუნოებისა. და რადგანაც გაბატონებული წოდება ქმნის ყოველივეს თანახმათ თავისი ინტერესების და შეხედულობებისა, არისტოკრატიამაც შექმნა თავისი რეპერტუარი და თავისი თეატრი. სცენაზე გამოვიდენ მეფე, დედოფალი, მარკიზი, გრაფი და სხ. ამათ ენა და ქცევა ერთიანათ განსხვავებული იყო ხალხის ენის და ქცევისაგან. მწერლობაში შეიტანეს ენა გაუგებარი უმრავლესობისათვის. მხოლოთ ის პიესები, რომლის მომქმედთა პირებში ღრმა და საკაკობრიო სულის ვითარებაა დახატული, დარჩენ უკვდავ პიესებათ (როგორც მაგ. შექსპირის), სხვების ხანგრძლიობა კი არ გადაცილებია თავის ხანას და ხშირათ თავის ავტორსაც. თეატრი მიისაკუთრა არისტოკრატიამ, ხელოვნება მის გასართობ საგნათ გადაიქცა.

მარა ცხოვრება აქ არ გაჩერდა. აღებ-მიცემობის და მრეწველობის განვითარებამ განავითარა მესამე წოდება—ბურჟუაზია და სარბიელზე გამოიყვანა. ის შეეტაკა არისტოკრატიას და მათ შორის ატყდა ბრძოლა, ბრძოლა, ეკონომიური და პოლიტიკური. ეს გადავიდა ხელოვნებაშიაც. შეიცვალა მწერლობის ხასიათი. მომქმედ პირებათ გამოიყვანეს უბრალო ადამიანი, უკმაყოფილო თავისი ბედით, მუდამ მებრძოლი და მოუსვენარი, მუდამ გრძნობებით აბობოქრებული და ახალი ცხოვრებისთვის თავგამოდებული. სცენიდან გარეკეს მეფენი და მარკიზები და მათი ალაგი ვიკინდარებმა დაიჭირეს. ასპარეზზე გამოვიდენ პოლიტიკოსი ფიგარო (ბომარშესი), მეცნიერი ფაუსტი (გიოტესი), ეგოისტი რენე (შატობრიანის). ამასთანავე არისტოკრატიულ მიკიბულ მოკიბულ ენის მაგიერ, ამ პირებმა, ჩვეულებრივი, სახალხო ენით იწყეს ლაპარაკი. ბურჟუაზიამ შექმნა დროს შესაფერი ხელოვნება. თეატრი გახდა მის ხელში ხალხის განთავისუფლების იარაღათ. გაიმარჯვა ბურჟუაზიამ ეკონომიურათ და პოლიტიკურათ. ეს იყო იმავე დროს მის მიერ შექმნილი ხელოვნების გამარჯვება. ახლა ის შეიქმნა ბატონათ. სცენა გადაიქცა იმ ასპარეზათ, სადაც სამოქალაქო ცხოვრება წარმოებს. აქ შეხვდებით ყოველნაირ წოდების და მდგომარეობის კაცს. მდიდარი, ღარიბი,

ბურჟუა, აზნაური, გლეხი, მეფე, მუშა—ერთი სიტყვით აქაც ისე აირ დაირია ხალხი, როგორც ცხოვრებაში. კასტიური მიუკარებლობა დაინგრა აქაც და იქაც. რომელიმე კორსიკელი ახალგაზდა მოკლე დროში მთელი საფრანგეთის, მთელი ევროპის სათავეში დგება (ნაპოლეონი), და ბოლოს ისევ თავდაყირა გადატრიალებული კორსიკის მზგავს კუნძულზე ათავებს სიცოცხლეს. რომელიმე მეწვრილმანე მოკლე დროში უმდიდრეს მრეწველათ იქცევა და ბოლოს ისევ პირვანდელ მდგომარეობაში ვარდება. მუდმივი მოუსვენარობა, მუდმივი რყევა და ნგრევა გამეფდა. ერთნაირი სისწრაფით ადიხარ თავ-აღმართში და ჩამოდიხარ თავ-დაღმართში. აი, ძირითადი თვისება ბურჟუაზიული ხანის. და ამასვე ვხედავთ ჩვენ პოეზიაში, დრამაში, ბელეტრისტიკაში. მარა სანამ ბურჟუაზია იბრძოდა, ძველწყობილებას ძირს უთხრიდა, ახალს ამაგრებდა და მით თვითონ მაღლა-მაღლა მიდიოდა, მანამდის ხელოვნებაც მასთან ერთათ ვითარდებოდა, იზრდებოდა და მაღლა მიიწევოდა, როგორც ეს ამ საუკუნის პირველ ნახევარში იყო. მარა როგორც კი იმან ხელთ იგდო ძალა და უფლება, როგორც კი გაბატონდა და რევოლიუციონური მიდრეკილება დაკარგა, ხელოვნებამაც დაბლა დაიწია, და ეს 20—30 წელია თავდაღმართში მოდის. აღარ ჩნდებიან ისეთი პირები, როგორიც იყვენ გიოტე, ვიქტორ ჰუგო, ბალზაკი, თუმცა უთვალავი პიესა და მოთხრობა იწერება, სადაც ყველაფერია მოთავსებული გარდა ნიჭისა. გაბატონებული კლასი თან-და-თან ბერდება, სუსტდება, ძალ-ღონე ელევა—მაშ საიდან შეეძლება მას ხელოვნების განახლება და განვითარება? ის ირყვნება და ირღვევა, მისი ხელოვნებაც ირყვნება და ირღვევა. ამ გარემოებამ თეატრს დაუკარგა წინანდელი ხასიათი და მისცა სრულიად ახალი დანიშნულება.

რა დანიშნულებაა ეს? რა როლი მიენიჭა დღეს თეატრს?

ნ. ჟორდანია.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ქართულ-დრამატიული საზოგადოების გამგეობა გასული კვირის არჩევნით შედგა და უკვე დაიწყო თავისი მოქმედება. გამგეობამ ვერ დაინახა სასარგებლოთ თეატრის დარბაზის იჯარით აღება, რაიცა უკვე გადაეცა კერძო პირთ. ამ ჟამათ არტისტებთან აქვს გამართული მოლაპარაკება ტრუპის შესადგენათ. პირველი წარმოდგენა შეიძლება მოხდეს 21—25 ამ თვეს.

—

თფილისში გაიხსნა შრომის „შუამავალი", რომლის მიზანია მუშათ სამუშაო მოუპოვოს. კანტორა, სადაც სამუშაოს მძებნელთა სახელი და გვარი უნდა იქმნას ჩაწერილი, იმყოფება ავჭალის ქუჩაზე, ალელოვის სახლში, № 63 და ღია არის დილის 9—12 საათამდე და საღამოს 5—7-მდე. კანტორა ამ შრომას მუქთათ ეწევა. ნოემბერში გაიხსნება შრომის სახლი, მანამდის კი იმავე სადგომში პირველიდან ოთხ საათამდი აძლევენ უფასოთ ჭრა კერვის გაკვეთილებს.

—

„ახ. მიმოხ." სიტყვით ვაჭრობის და მანუფაქტურის დეპარტამენტში აღძრულია კითხვა თფილისში სამთო-ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

—

გასულ წელს კავკასიის გიმნაზიებში სწავლა დაუმთავრებიათ 233, რეალურ სასწავლებელში კი 119 მოსწავლეს.

—

თუ რამდენათ გავრცელდა ამ უკანასკნელ ხანებში ვენახების ექიმობა ნაცრისა და მილდიუსაგან გვიმტკიცებს შემდეგი ციფრები; მარტო თფილისის და ქუთაისის გუბერნიების მკვიდრთათვის კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას გასულ წელს მიუყიდნია 60,000 მან. საღირალი მანქანები და წამლები. გარდა ამ საზოგადოებისა აუარებელს ყიდიან კიდევ კერძო პირები და კომპანიები. ამ წელს ღვინის მოსავალი რაჭა-ლეჩხუმში და განსაკუთრებით ქართლ-კახეთში ძალიან კარგია. დაახლოებით შეიძლება თქვას კაცმა, რომ 125,960 დეს. ვენახებზე კავკასიაში მოვა $12^1/_2$ მილიონი ვედრა ღვინო (საშუალო რიცხვით 100 ფ. დესიატინაზე), თუმცა ქართლ-კახეთში და განჯის გუბერნიაში სეტყვამ ბევრი ვენახები დააზიანა. ასე რომ მთელი კავკასიის ღვინოების ფასი 25 მილიონ მან. უნდა ავიდეს წელს. („სავაჭრო-სამრეწველო გაზ.").

—

ქუთაისიდან გვწერენ: აქაური ბორდეროს საქმე ჯერ-ჯერობით იმით გადაწყდა, რომ ქალაქის გამგეობის მდივანი ბ. ნ. კანდელაკი იძულებული გახდა თვისი ადგილისათვის თავი დაენებებინა და სხვაგან მოეძებნა ბინა. თვით ბორდეროს საქმე კი ჯერაც გამოურკვეველია და გარეშე საზოგადოებამ ნამდვილათ არ იცის ვინ არის ამაში დამნაშავე და ვისი მხრით იყო ეს თვალის ამხვევი საშუალება ნახმარი. მხოლოთ ერთი კი ცხადია, რომ იგი შედეგია წრევან დელი ქალაქის არჩევნების პირადული ბრძოლისა. ხმა დადის ვითომც გამგეობის ერთი წევრიც თავს ანებებს ქალაქის სამსახურსო, რადგან თვის შეუფერებელ სფერაში მოღვაწეობა აღარ სურსო... ამ პირს,

თურმე, ორი საბუთი აქვს, რომლითაც ორი ხარლამოეისთანა პირის განდევნას ლამობს ქუთაისიდან და მერე იმედი აქვს, რომ აქ „მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ დამყარდება. ნეტა ჩქარა მაინც გამოქვეყნდებოდეს ეს საბუთები... აქ შეუპოვარათ დადის ხმა, რომ მეორე სასურველი კანდიდატი ოპოზიციისა (ისიც მდივანი ერთი აქაური კანცელარიისა) თავს ანებებს თავის ადგილს. რამდენათაც იხსნება, ესეც შედეგია წრევანდელი საარჩევნო ბრძოლისა...

—

იქიდანვე: აქაურ „მეაბრეშუმეთა ამხანაგობის“ არეულ-დარეულმა საქმეებმა გვარიანი ხეირი მისცეს ვაჭრებს. ოთხმა მსხვილმა ვაჭარმა გაიგო თუ არა დანამდვილებით, რომ ამხანაგობა წელს პარკს აღარ ყიდულობსო (თესლი კი ბლომათ იყო დარიგებული), მაშინვე საჩქაროთ საწონს წამოავლეს ხელი, ჩაუსაფრდნენ სოფლელებს ქალაქის შამოსავალ ადგილებში, გაიკეთეს ხელათ ფარდულები და დაიწყეს პარკის ყიდვა. ასე რომ ყველა ის პარკი, რაც ამხანაგობისათვის უნდა მიეყიდა მეპარკეებს, ამ ოთხმა კაცმა დაირჩინა და გაისქელა ჯიბეები. „ამხანაგობის“ ფაბრიკაზე კი ყარაულები დგანან და ყველას ეუბნებიან: აქ ნუ მოდიხართ, არაფერიაო. დღესაც, როდესაც ბამბის ყიდვის დროა, ისინივე და სხვა ვაჭრები წახალისებულნი წინანდელი მოგებით აპირებენ მთელი ბამბის მოსავალი თითონ ჩაიგდონ ხელში.

—

ბათომიდან გვწერენ: აქაურ როჩილდის ქარხანაში მუშაობის წეს-რიგი 5 ამ თვიდან ნახევარი დღით შამოიღეს. ამბობენ ქარხანაში მუშაობა სულაც შეწყდებაო, რაც უეჭველია აჯობებს, რადგან მუშები ლოდინში აღარ იქნებიან და სხვა სამუშევარს მოძებნიან. მუშაობის შეჩერების მიზეზი გემების მოუსვლელობაა, რისგამოც დამზადებული საქონელი იმდენია, რომ ახლისთვის ალაგიც აღარ არის. ნახევარი დღის მუშაობის ახალი წეს-რიგი შემდეგია: მუშა მუშაობს დილის 6 საათიდან 12-დე; ნაშუადღევს თავისუფალია მეორე დილამდე. მეორე დილასაც 12-დე და ასე ამ რიგათ მუშას დღიურათ $10\frac{1}{2}$ საათის მაგიერ 12 საათის მუშაობა გამოუდის და ღებულობს $10\frac{1}{2}$ საათის ქირას. აღნიშნულ ქარხანაში 700 მუშაა და მაშასადამე $1\frac{1}{2}$ საათის მუშაობა ამდენი მუშისა გვარიან ჯამს შეადგენს „მეტი ღირებულებისას“, რაც სარგებლიანი შემოსავალია აღისათვის...

—

ლანჩხუთიდან გვწერენ: ეს სამი წელიწადია რიონმა ერთიანათ აგვიკლო. ლანჩხუთის, ნიგოითის, ჩიბათის, ჯურუყვეთის და თითქმის ნახევარი სენაკის მაზრის საყანე მიწებს ყოველ წელს აფუჭებს რიონის წყალ-დიდობა, ასე რომ ამ მიწების შემუშავება შეუძლებელია. შეიძლებოდა ამის წინააღმდეგ რაიმე ღონის მიღება, მაგ. დამბების გაკეთება, მარა ამდენი ხალხის ერთათ შეთანხმება და ერთ გზაზე დაყენება ძნელია. კარგი იქნება ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება მთავრობამ და დამბებს გაკეთება გვაიძულოს, თვარა ნებით არაფერი არ გამოვა. უამისოთ კი ხალხის ცხოვრების ერთათ ერთი წყარო—სიმინდი—ლამის არის ხელიდან გამოგვეცალოს ულმობელ სტიქიონმა.

—

ბაქოში, როგორც იწერებიან გაზ. „კასპი“, დაარსებულა ახალი ნავთის მწარმოებელი ამხანაგობა, რომელსაც აქვს ძირის თანხა 20,000 მ. მისი სახელია „კალიფორნიის ამხანაგობა“.

—

ბაქო-ბალახანიდან გვწერენ: აქაურ ზავოდების და პრომისლების რევიზიის ციებ-ცხელება ჯერაც გძელდება და ყოველ კვირაში 3—4 ფირმა ჯარიმდება თავისი უწეს-რიგო წარმოების და მუშების შეუფერებელ მოპყრობის გამო. საინტერესოა ყველა ამ რევიზიების შედეგები...

—

ფოთიდან გვწერენ: კვირას 4 ოქტომბერს გამართულ იყო აქ წარმოდგენა ჩვენი საყვარელი არტისტი ნ. გაბუნია-ცაგარლის თაოსნობით, სტუდენტების (გელეიშვილის და სახოკიას) სასარგებლოთ. დადგმულ იყო „ახალ-მაყალი ცოლ-ქმარს შუა“ და „ბიძიასთან გამოხუმრება“, რომელშიაც ღებულობდენ მონაწილეობას ქ. გ.-ცაგარლისა, ბბ. კ. სარჯველაძე, კ. ხოფერია, ვ. ყანჩაველი და გოგიტიძე. წარმოდგენამ მწყობრათ ჩაიარა; საზოგადოთ ყველა კარგათ თამაშობდა, მარა საუცხოვო იყო, როგორც ყოველთვის, გაბუნია-ცაგარლისა. ხალხი ბლომათ დაესწრო და ყველანი ძლიერ კმაყოფილი დარჩენ... დიდი მადლობის ღირსნი არიან, როგორც ზემოთმოხსენებულნი პირნი, აგრეთვე ქ. გაბუნიასი და სხვანი, რომლებმაც შემწეობა აღმოუჩინა ამ წარმოდგენას ბილეთების გაყიდვით, თუ სხვა რაიმე დახმარებით... შემოსავალი თექვსმეტ-ჩვიდმეტი თუმანი იქნებოდა ყოველივე ხარჯს გარეთ, მარა ეჭვი გვაქვს, რომ ეს ფული სრულად გადასცემოდეს ამ წარმოდგენის მოთავეს ქ. გაბუნია-ცაგარლისას, რომელსაც დანიშნულებისამებრ უნდა გაეგზავნა...

ამ ბოლო დროს დიდ შრომას სწევს ჩვენი არტისტი ქალი, რომელიც მართავს წარმოდგენებს საქველ-მოქმედო მიზნით ხან ბათომში, ხან აბაშაში, ხან სენაკში და სხ., რომლის შემოსავლიდან ერთ გრო-

შსაც თავისთვის არ იღებს, არამედ ხშირათ თავისას დაადებს ხოლმე და უგზავნის ნამდვილ გაჭირვებულ სტუდენტებს... კარგი იქნებოდა, რომ ზოგიერთ ქველ მომქმედებსაც წაებაძათ ქ. გ. ცაგარლისათვის და გაერჩიათ ვის უგზავნიან ან და რანაირ გაჭირვებულთ?!..

—

ამ დღეებში თფილისში ცენტრალური წიგნის მაღაზია მიიღებს ახლათ გამოსულ, პ. სტრუვეს რედაქციით, კ. მარქსის „კაპიტალის“ პირველ ტომს, რომელიც ღირს 3 მან. მსურველთ შეუძლიათ წიგნი აქედან დაიკვეთონ.

—

ჩვენ მივიღეთ შემდეგი წიგნები: 1) „რძე და მისი სხვა-და-სხვა გვარათ გამოყენება“, შედგენილი პროფესორის ვ. პეტრიაშვილის მიერ. წიგნი მეტათ საინტერესოა ყველასთვის, ვისაც ამ საგანზე მეცნიერული ცოდნა სურს შეიძინოს. დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე, შიგ მოთავსებულია მრავალი სურათები, შეიცავს 486 გვ. და ღირს მანეთ ნახევრათ. გამოცემა „ქარ. ამხანაგობისაა“.

2) „ანტონიოს და კლეოპატრა“ ტრაგედია უილიამ შექსპირისა, ინგლისურიდან ნათარგმნი ივ. მაჩაბლის მიერ. ღირს ექვს შაურათ.

3) „სხვივი წარსულისა“ ისტორიული ამბავი იაკ. გოგებაშვილისა. ფასი ერთი შაურ.

4) ხალხური ლექსი „აბრამის და იობის“. შეკრებილი და გამოცემული სოსიკო მერკვილაძისაგან. ფასი სამი კაპ.

„კვალის“ კორესპონდენციები.

აფხაზეთი. როგორც მკითხველს მოეხსენება, აფხაზეთი ძალიან მდიდარია სხვა-და-სხვა ძვირფას ხეტყეით, რომლის შემუშავება და გატანა ჯერაც არ დაწყებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზღვის პირას მდებარე მუხის, ბზის და ნიგვზის ტყეებსა, რომლის გატანა უკანასკნელ ომიანობას შემდეგ დაიწყო და აგერ-აგერ კიდევაც მოთავდება. ხოლო ის მდიდარი ტყეები, რომლითაც მოფენილია მთელი მთა გორანი აფხაზეთისა და რომლის გატანაც უგზოობისაგამო დიდ ძალ ფულს მოითხოვდა, დღესაც ისე უხმარათ არიან და ელიან თავის მაწარმოებელს. უმეტესი ნაწილი ამ ტყეებისა სახელმწიფოა; პირველ ინიციატორათ და საქმის მოთავეთ ამ ტყეების გატანაში გამოვიდა ბ. ჭოლკვერი, რომელმაც თავისი საცხოვრებელი შეალია ამ საქმეს და მაინც ვერას გახდა. დარწმუნდა რა, რომ მას თავისი ჯიბით არ შეუძლია ამისთანა დიადი საქმის წარმოება, ადგა და მიჰყიდა ის ცნობილ როსტოველ მდიდარ ვაჭარს ბ. მაქსიმოვს. ეს უკანასკნელი ამ წლის 30 იანვარს ხაზინას შეეკრა პირობით ცხრა წლის ვადით და შეუდგა საქმეს: ათასობით მუშები დაასია ტყეს და აჭრევინებს. ერთათ ერთი ხეების ჩამოსატანათ გზა არის მდინარე კოდორი, რომელმაც ჯერ-ჯერობით ბ. მაქსიმოვს ვეღარ გაუმართლა თავისი იმედები. საქმე იმაშია, რომ ამ მდინარის კალაპოტი მოფენილია უშველებელ ქვებით, რაც უშლის ტიეებით ხის ჩამოტანას. მაგრამ ამას დიდი დაბრკოლება აღარ შეუძლია მისცეს ბ. მაქსიმოვს, თუ კი ხარჯს არ შეუშინდა და ქვები ჩაეხა, სადაც უფრო საჭიროა. მან თავისი ხე-ტყის სახერხი ქარხანა ააშენა ჩვენ სოფელში (აძვიბჭაში) მდ. კოდორის პირათ ზღვისაგან ოთხ ვერსზე. დამზადებულ ხეტყეს ბ. მაქსიმოვი აძლევს სხვა-და-სხვა ბათომელ ნავთის მწარმოებელ ფირმებს, რომლებთანაც ხელშეკრულება აქვს. ამით რამდენიმე ათას მუშა ხელს მიეცა მუშაობა, და ჩვენც ვუსურვებთ ამ საქმეს წარმატებას და აყვავებას. მარა ამასთანავე აღარ შეგვიძლია არ მოვიხსენიოთ ქარხნის ცუდი სამუშაო პირობები, რაც შეცვლას და გაუმჯობესობას საჭიროებს.

როგორც ზევით მოვიხსენიე, ქარხანა სოფელ აძვიბჭის მიწაზეა აშენებული (ხუთი დესიატინა 300 მ. წელიწადში, ცხრა წლის ვადით), და აი სწორეთ ქარხანაც ამ საზოგადოებას აძლევს შესამჩნევ ზარალს. მდ. კოდორი ამ საზოგადოების საზღვრებში გაფანტულია რამდენიმე ტოტათ და ქარხანაც ცდილობს ეს ტოტები ერთათ შეაერთოს, რისთვისაც ყოველივე ღონეს ჰღონობს; და სწორეთ ამით აძლევს საზოგადოებას ზარალს ჯერ ერთი ქარხნის წყალობით მდ. კოდორმა წაიღო წისქვილი ძმ. დობჟებისა, რომლის შემყურე იყო მთელი ერთი სოფელი ას-ოცი მოსახლით. ამავე ქარხნის წყალობით რამდენიმე ასი დესეტინა საძოვარი მიწები წყალმა მთლათ წაიღო, ან საზოგადოებისთვის უსარგებლოთ გახადა, და თუ დროზე ვეღარ უშველეს თავს, სახნავ-სათეს მიწებსაც წაართმევს. საზოგადოებამ სადაც ჯერ-იყო იჩივლა; ენახოთ, რა გამოვა. ჯერ-ჯერობით ქარხნის ბედნიერება მთელი საზოგადოების უბედურებაზეა დამყარებული!

როგორც თვით ქარხანაში, აგრეთვე ტყეში მომუშავეთა უმეტესობას შეადგენენ ქართველები (მეგრელები და გურულები). აგრეთვე აქ მუშაობს აფხაზებიც. ჯერაც მახსოვს ამ ხუთი წლის წინეთ ერთი აფხაზის ბაასი ჩემთან: ურემზე ქირით დაჯდომას, მოჯამაგირობას და მეღორეობას სიკვდილი მირჩევნია“. ეს ყოველი აფხაზის ღრმა რწმუნება იყო, და ახლა კი, ვგონებ, სხვა დრო დგება: ეს ჩე-

მი ნაცნობი აფხაზი „ზავოდში“ ქირით მუშაობს! მგონია, ამ მოკლე ხანში აფხაზიც ჩაებას ცხოვრების ტრიალში. ღმერთმაც ჰქნას!

ჯანიკო.

—

ს. ივანდიდი (ქვემო იმერეთი). „ჩვენი სოფლისთანა განათლებული სოფელი ვგონებ მეორე არ იყოს მთელ იმერეთში“, ამბობს ივანდიდელი. და მერე მართალს ამბობს ის?

მოდი ჩემთან, მკითხველო, ერთათ ჩავიხედოთ ივანდიდელის ცხოვრებაში და თვით ფაქტები გვაჩვენებს მის მდგომარეობის ავსა და კარგს. მაგრამ სანამ ივანდიდელის ეკონომიურ და გონებრივ მდგომარეობას შევეხებოდეთ, საჭიროა ვიცოდეთ ვინ არის ივანდიდელი; რა და რა წოდებისგან შედგებიან აქაური მცხოვრებნი. აქ არის გლეხი და აზნაური; ეს ორი წოდება ძალიან დაშორებია ერთმანეთს. ეს განსხვავება უფრო მატერიალურია და არა გონებრივი, მაგრამ თუ ამ გონებრივათ ერთ და იმავე საფეხურზე მდგომ წოდებებს ერთმანეთს შევადარებთ, დავინახავთ, რომ პირველი უფრო მეტ უნარს იჩენს პრაქტიკულ ცხოვრებაში ვიდრე უკანასკნელი. ამის დასამტკიცებელი ფაქტი თვით მათი მატერიალური მდგომარეობაა.

აბა ერთი შევიხედოთ მათ ეზოში. პირველისას ხედავთ: კარგ ქვის ღობეს, რკინის ჭიშკარს, ოთხი ათას ხუთიათას მანეთიან ქვის ანუ ხ·ს ოდას, ლამაზათ გაწმენდილ კოინდრიან ეზოს, ქვის ბოძებზე დიდ სასიმინდეს და ლამაზ სამზარეულოს. სახლის მოწყობილობას ხომ ევროპიული სული უდის ივანდიდი, როგორც უმეტესი ნაწილი იმერეთისა, დიდიხანია გამოვიდა ბატონ-ყმურ სამოსელისგან. გლეხი განთავისუფლდა. ის, მოკლებული საკუთრებას, მესაკუთრე გახდა, მოკლებული ეკონომიურ და პოლიტიკურ უფლებებს აქამდის, ახლა სრული უფლების პატრონი შეიქმნა. დღეს მისი მეთერთმეტე მცნება თავის პირადი სარგებლობაა. მან დღეს ფართო ალაგი იპოვა, რომ თავისთვის იშრომოს, დ კიდევაც შრომობს, რაშიაც დიდ უნარს იჩენს. ივანდიდელი გლეხიც სწორეთ ამ გზას დაადგა. ის ორიოდე გროშით ბათომს ქერჩს და ადესაში მიდის. გადის რამდენიმე წელი და ის ფულის პატრონათ ინათლება. აი საით მიდის ივანდიდელი გლეხი.

სულ სხვაა ივანდიდელი აზნაური. ვაი თუ ის შემომწყრეს, მარა მოყვარეს პირში უძრახვენ და მტერს პირს უკანაო, ამბობს ქართული ანდაზა, და მეც, როგორც მისი ღვიძლი ძმა სიმართლე უნდა ალვიარო და ის ვუთხრა, რაც მას ეწყინება. ჩავიხედოთ აქაურ აზნაურისას: დაფეხვილი მამა პაპეული ოდა, ეზო შემოუკავებელი ან და შემოკავებული ისე, რომ მის ღობეზე გოჭი გადახტება. სახურავ გადამძვრალი ცარიელი სასიმინდე, რომელიც თაგვებსაც კი დაუვიწყნიათ. სახლის მოწყობილობა ხომ... რაღა ბევრი გავაგრძელოთ, სიღატაკე ყოველგან. გლეხი ივანდიდელი თუ წინ წასულა მატერიალურათ, სამაგიეროთ აზნაური ივანდიდელი ვალებში ჩაფლულა. რა დაემართა ივანდიდელ აზნაურს, რამ გაალატაკა ის ასე? ამის მიზეზი ცხადია, ეს დღევანდელი საზოგადო მოვლენაა და არა ერთი სოფლის ანუ მაზრის უბედურება. სხვის ლონეზე დაყრდნობილი ივანდიდელი აზნაური მოუმზადებელი ჩავარდა იმ გვარ ხანაში, სადაც დრო ფულია, სადაც ის ჩდება გამარჯვებული, რომელიც მეტ უნარს იჩენს არსებობისთვის ბრძოლაში. მის ძვალსა და რბილში ლუარსაბიზმი კიდევ არ ჩამქრალა, თუმცა ლუარსაბ თათქარიძის ქონებას ივანდიდელი აზნაური ვერც კი წარმოიდგენს, მაგრამ ის უფრო ოცნებით ლუარსაბობს. იმის მაგივრათ, რომ მამა პაპეულ კერას მოშორდეს, გავიდეს სადმე ქალაქში და დღევანდელ ცხოვრებაში მონაწილეობა მიიღოს, ის თავის ეზოს არ შორდება, თავის კერა რაღაც მოუცილებელ ალაგათ წარმოუდგენია. თავის ორი კვალი ადგილი მას ვერაფერს აძლევს, ის კი ამის შემყურეა. მატერიალური სიღატაკე ივანდიდელისა მიზეზია მისი გონებრივი სიღატაკისა. წარმოიდგინეთ ორმოცდა ათ მოსახლეში ხოლო ოთხს, თუ ხუთს დაუდის შვილი სკოლაში. იმისთანა კაცი კი, რომელიც საზოგადო ინტერესებს იცავდეს და ესმოდეს დღევანდელი ცხოვრების ავ-კარგი არც კი მოინახება. სამაგიეროთ ივანდიდელს შეუძლია თქვას, რომ ის პირველ ალაგს იჭერს იმგვარ „მეცნიერებაში“, როგორიც ცრუ მორწმუნებაა! ზოგიერთი აქაური ვაჟბატონები სარგებლობენ თავის მეზობლების უმეცრებით. რა და რა ოინებს არ ჩადიან ეს ივანდიდის „მეცნიერები“! ისეთი მოხუცი მანდილოსანი არ არის ივანდიდში, რომელსაც ეს ვაჟბატონები „ტურა-კუდიანობას“ არ სწამებდენ. ამ ვაჟბატონების ოინები მთელ სოფელს მცნებათ გადაქცევია და კიდევაც სწამთ, რომ რაც მოხუცი მანდილოსნებია „ტურა-კუდიანებია“ და უნდა დავედალოთო. ამ ვაჟბატონებში ერთმა მაინც ლამის არის სოფელი ააყაყანოს. ეს საშინელი გვამი გამოდის ყოველ ღამით, თოფს ისვრის და გაჰყვირის: ჰაუპო, ჰაუპო, „კუდიანებოვო“. ამ ვაჟბატონისთანა ვენახი მთელ ივანდიდში არავის აქვს. ფილოქსერა ჯერ არ გაჩენია, ნაცარი და ჭრაქი კი ვერას აკლებს, რადგანაც წამლობს, რის გამოც კარგა მოსავალი მოსდის. ის კი ასე გაჰყვირის: „ტურა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲓᲘᲚᲘᲐ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუდიანებმა ჩემ ვენახს ვერაფერი დააკლესო. ეს კი ივანდიდელებს ჭეშმარიტებათ მიაჩნიათ და მას რაღაც საოცარ კაცათ თვლიან. ის ყოველ აღდგომა, ელიობა და მარიობა ღამეს გამოდის, თოფ-ს სროლით და ერთი ვაი-უშველებელით რამდენიმე ვაზის წვერზე წმიდა სანთელს აანთებს და გაჰყვირის:

„ჯადო შეეკარ თილისმითა,
ვერ გაეძეხი ღვინის სმითა“.

ნეტავ სადამდის უნდა ითარეშოს ამ ვაჟ-ბატონმა, ნეტავ როდის გაიღვიძებს ეს სოფელი!

გელა შ—ია.

კვირიდან კვირამდე

ერთი უფროსობის მაძიებელი—ცხენს ვერ შეწვდა და კუსს ამტვრევდა—უთავოთა თავიანობა—ავლაბრული სასწაულება—„კარგი რამ გჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“—ტარიელ მკლავაძეთა მოღვაწეობა.—

Rიდ გასაჭირშია ჩავარდნილი ეს ჩვენი ქალაქის გამგეობა. ეს ერთი წელია საბჭო გაძახის „კონკა“ ჩვენი უნდა იყოს, ჩვენია და ამის შესაფერი გადაწყვეტილება თითქმის ყველა სხდომაზე მიიღეს, თუ გაიხსენეს, არ დაგვაიწყდესო. რასაკვირველია, ეს ამოდენა საქმე ხმოსნების ხელში ნიშნავს ამოდენა ადგილებს და ჯამაგირებს იმათ განკარგულებას ქვეშ. და მოგეხსენებათ, ამ ფულის საუკუნეში, ეს ციდან ჩამოვარდნილი მანანაა. მანანა ჩამოვარდა, მარა ამკრეფს არ იკითხავთ? აქეთ ეცენ, იქით ეცენ და ბოლოს, თურმე ნუ იტყვით, ამის ოსტატი თვით გამგეობაში ყოფილა. გამგეობის ერთი წევრი, რომელსაც „კონკის“ საქმე კონკაზე ჯდომით შეუსწავლია, დირექტორათ მონათლეს და ქუჩაზე გამოუშვეს, აბა, შენ იცი, როგორ ადრე გააძევებ აქედან ბელგიელთა საზოგადოებასო. ბ. ვერმიშევმა (ასე უწოდებენ ამ დირექტორს) იარა, იარა და ბოლოს „საზოგადოების“ კანტორას მიადგა. - ვინ ბრძანდებით? შეეკითხა მეკარე.—როგორ თუ ვინ ვარ, მე ვარ შენი ბატონი, ამ კანტორის უფროსი, კონკის პატრონი, ამაზე მეტი კიდევ გინდა? შეუტია სტუმარმა.—მიბრძანდით, მიბრძანდით აქედან, ჩვენ აქ სხვა უფროსი გვყავს, თქვენ თქვენი საუფროსო სხვაგან მონახეთო, გამოუცხადეს მასპინძლებმა და კიბიდან ძირს ჩამოაბრძანეს. მას მერე დადის ქუჩა-ქუჩა ეს ქალაქისთვის თავდადებული, ხან ერთ ვაგონს შემოახტება, ხან მეორეს, მარა არსად არაფითარ უფროსათ არ იცნეს. ბილეთი! ეკითხება კონდუქტორი.—რა ბილეთი, ბილეთს მე უნდა გაძლევდე, როგორც ამ გზის დირექტორი და შენ მე მთხოვ?—ცხარობს „დირექტორი“.—ძირს, ძირს, თქვენი სადირექტორო საბჭოში მოიკითხეთ—სიცილით ეუბნება კონდუქტორი და ამ ახირებულ პასაჟირს დაბლა სვამს.

* * *

აი, ასე ებრძვიან ერთმანეთს ცხენს რკინის გზის ორი უფროსი ბ. ვერმიშევი და ბ. რობი. უკანასკნელი გზის ნამდვილი პატრონია, პირველი კი ფიქრობს პატრონობას. და აი, ამ სინამდვილეს და ამ ფიქრს შორის ომია ატეხილი. ამ ომს კიდევ გაეუძლებდით, რომ ეს მარტო ამ ორ პირს შეეხებოდეს. მარა საქმეც იმაშია, რომ ესენი ცხენს ვერ შეწვდენ და კეხს დაუწყეს მტვრევა. ვერმიშევი უცხადებს „კონკის“ მოსამსახურეთ: თუ გსურთ სამსახურში დარჩენა, თხოვნა მე უნდა წარმომიდგინოთო. მეორე მხრით რობი აცხადებს: როგორც კი თხოვნას წარუდგენთ, მაშინვე სამსახურიდან გაგაგდებო! მოდი და გაიგე, რომელი ჯობს: ვერმიშევის დაპირებული ადგილი, თუ რობის ნამდვილი უადგილობა. თხოვნას აძლევ გითხოვენ, არ აძლევ და მაინც გითხოვენ! ასე რომ 300 კაცი, რომელნიც თავისი მწარე ოფლით თავს ირჩენენ და ცოლ-შვილსაც არჩენენ, ამ ორ ჩასუქებულ მოჭიდავეთა მსხვერპლათ გამხდარა. ეს დევ-გმირნი ამით რასაკვირველია არაფერს ჭკარგვენ, პირიქით რაც უფრო დიდ ხანს იდავიდარაბებენ, მით უფრო დიდხანს აიღებენ დირექტორის ჯამაგირს. ხოლო ის, რომელიც ოთხაბაზ-მანეთისათვის დღე და ღამეში 17 საათს კონკას ატეხს თავს, ფეხ ქვეშ გაიგდეს და სიმშილ-სიცივეს უქადიან. ეს არის კონკის გამოყიდვა? ამისთვის გადაგვაყრუა საბჭოს „ოპოზიციამ“? არა, ეს გამოყიდვა კი არ არის, ეს გაყიდვაა, გაყიდვა 300 მუშა-კაცის და მათი ცოლ-შვილის...

* * *

და განა სხვას უნდა მოველოდეთ თფილისის „მამებისაგან“? ესენი საჯამაგირო და საადირექტორო საქმეს ძალიან აფრინდებიან, ხოლო ვინ რას აკეთებს და ვის რისთვის ეძლევა ჯამაგირი, ბნელით მოცულია. კაცმა არ იცის, სად რა იხარჯება, სად რა შემოსავალია. და ამას, მადლობა ღმერთს, თვით მამათა მამა, ქალაქის თავი, აღიარებს. აი, რას წერს ის: „მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ ქალაქის ზოგიერთი დაწესებულებანი, რომელნიც ქალაქის ზოგიერთ შემოსავალს კრეფენ, სრულიად არ წარმოუდგენენ ხოლმე გამგეობას საარეიზოთ და განსახილველათ თავიანთ ანგარიშებს და დავთრებს. ასე რომ, გამგეობამ არაფერი უწყის

იმის შესახებ რამდენათ კარგათ არის დაყენებული ამ დაწესებულებებში ანგარიშის საქმე და რა შემოსავალი აქვს“. ამაზე მეტი თავის თავის გაშოლტვა შესაძლებელია? აი, ეს უთავო ხალხი ფიქრობს კონკის საქმის თავიანათ წაყვანას!

* * *

მარა არ იფიქროთ, ყველაფერში ასე უთავო იყვენ. არა, ეს ასეა მხოლოთ საზოგადო საქმეში, სადაც რისამე მოთლა და ყლაპვა შეიძლება. სამაგიეროთ თავის კერძო საქმეში ძალიან თავიანობას და ხელ-მომჭირნეობას იჩენენ. აი, ერთი ასეთი ხელ-მომჭირნეობის მაგალითი. მოგეხსენებათ, რომ მექარხნეთ მთავრობამ დაავალა დროის დროზე ექიმის მოწვევა და ავათმყოფი მუშების მუქთათ ჩვენება. გასულ კვირაში ერთ ავლაბრელ მექარხნემ პირველათ მოიწვია ექიმი. მუშებში ხმა გავარდა ექიმი მოსულაო, მარა ვისთვის, რისთვის კაცმა არ იცის. მექარხნე გზავნის თავის ბიჭს: წადი, ერთი ათიოდე ჯანმრთელი მუშა მომიყვანე აქ, ბოვშები არ გაურიო. ბიჭმა როგორც იყო გამოარჩია ორას კაცში ეს ათი და მოიყვანა. დადექით სამ-სამი ერთათ, უბრძანა ექიმმა. ისინიც დადგენ. აბა ახლა გააღეთ პირი, გააღეს, ექიმმა შორიდან შემოხედა ამ პირდაღებულ ხალხს და დავთარში ჩაწერა: ქარხანა გავშინჯე, მუშები ყველა ჯან-მრთელია, ავათ არავინ არის. ამ დროს მართლა ერთი ავათმყოფი მუშა შამოვიდა კანტორაში და ექიმს თავისი გაჭირვება განუცხადა:—გააღე პირი, გააღო, რას ჩერჩეტობ, ავათ კი არა შენისთანა მრთელი ერთიც არ არის აქ—შეუტია ექიმმა, ხოლო ბიჭმა პანღურით გამოაგდო გარეთ, ვინ მოგცანება აქ შემოსელისაო. ასრულდა ბრძანება, მექარხნეც იოლათ გამოვიდა და მუშებიც განიკურნენ... აი, ავლაბრული სასწაულება! თავიანობაა ეს, მაშ რა ჯანდაბაა...

* * *

საზოგადო საქმეში უთავობა მარტო თფილისის საკუთრება არ არის. მიიხედ-მოიხედეთ სხვა ქალაქებში და ამასვე შეამჩნევთ. აი, თუნდა ბათომი. ეს წმინდა სამრეწველო ქალაქია. თითქმის ყველა ის მოთხოვნილება, რაც ევროპის ქალაქს აქვს, აქვს ბათომსაც. ამაში პირველი ალაგი მუშა ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესობის უჭერავს. მარა ბათომში ამ გზაზე არავინ ამოძრავებულა და არც კი ფიქრობს მგონი ამოძრავებას. ეს რამდენი ხანია მუშები ერთ ბიბლიოთეკას თხოულობენ და აქამდი ეს პატარა საქმეც ვერ მოახერხეს. აი, რას გვწერენ იქიდან: „არა ერთხელ და ორხელ მინახავს მეპურის კარებთან მუშა, რომელიც გუშინ „ბრავალ-ქამიერს“ იძახდა და დღეს გირაოთ მეფურნეს ყაბალას ან რომელიმე ნივთს აძლევდეს. ჩვენ მუშებს რომ ბიბლიოთეკა ჰქონდეს, მე მგონია ბანქოს თამაშს და ლოთობას მიანებებდენ თავს. მარა ჯერ-ჯერობით არავინ გამოჩნდა იმისთანა მადლიანი, რომ ამაზე ეზრუნა“. და მერე რატომ არ გამოჩნდა ნეტავ? საარჩევნო ასპარეზზე ძალიან ბევრი ხალხი ჩნდება, საქმის ასპარეზზე კი არავინ! მარა „კარგი რომ გჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“.

* * *

დიახაც, რომ ავი აღარ არის საკვირველი, განსაკუთრებით ამ ჩვენ ტარიელ მკლავაძეთა შემხედვარე. ამ ვაჟ-ბატონთ თავის თავი კიდევ მეთექვსმეტე საუკუნეში ჰგონიათ, როცა ღვთის წყალობასაც არ კადრულობდენ და კიდევაც შეეძლოთ არ ეკადრებიათ. ახლა? ახლა, აი, რა: ამას წინეთ ერთი ასეთი მკლავაძე სადგურზე უშნოთ წამოწოლილიყო, წესიერების მეთვალ-ყურემ მოაგონა ამ ბრწყინვალე პირს, აქ სადგურია, აბრძანდითო. როგორ თუ ეს შენ გამიბედეო და გაიმართა ჩხუბი. ჯანდარმი დაჭრეს. ეს საქმე გასულ კვირაში გაარჩია გორის ოლქის სასამართლომ და მკლავაძენი (თ. შალიკაშვილის საქმე) ღირსება ჩამოხდილნი ციმბირში გაგზავნეს. ამ ნაირათ ამ „როგორ გამიბედეს“ გადაყოლეს თავისი ადამიანური უფლებები, თავის ქვეყანაში ცხოვრება. ერთი მეორე ჯგუფი ასეთი მკლავაძეთა ამ კვირაში ფაიტონით მოდიოდა. მეეტლემ „ხაბარდა“ დაუძახა ქუჩაში მიმავალ კაცს (გაბაშვილი), რომელმაც ენა შეუბრუნა, გზა ფართოა და გაიარეო. როგორ გვკადრეს ეს – დაიძახეს შიგ მჯდომ მკლავაძეებმა, მიცვინდენ და ხანჯლით აკუწეს საწყალი კაცი. ესენიც, რასაკვირველია, პირველთა გზას გაუდგებიან. მარა ერთი მითხარით, რომელი კაცია ამ ხანჯლოსნებისაგან უზრუნველ-ყოფილი? როგორ არ წამოგცდება სადმე გაბაშვილისავით უწყინარი სიტყვები? და ან ნეტავ როდის იქნება ეს ჩვენი ქვეყანა ტარიელ მკლავაძეებისაგან განთავისუფლებული?..

საზღვარ-გარეთ

საფრანგეთი. პარიჟის მუშათა გაფიცვა, რამაც ფეხზე დააყენა საფრანგეთის მთავრობა და მხედრობა, ნელა-ნელა ბოლოვდება: ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ქალაქის საბჭოს, რომელიც თავიდანვე მუშებს მიემხრო და მოიჯარადრებთან შუა-კაცობა გასწია. პირველათ ქალაქის მოიჯარადრენი დათანხმდენ მუშების მოთხოვნილება შეესრულებიათ, ე. ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საათში 60 სანტიმის მიცემას, ნაცვლათ 50 სანტიმისა. მარა მუშებმა სამუშაოს დაწყებაზე მაინც უარი თქვეს, სანამ სხვა გაფიცული მუშებიც არ მოიპოვებენ ასეთსავე ქირასო. ამათთვის მხარი უნდა დაეჭირათ რკინის გზის მუშათ და მოსამსახურეთ, იმით რომ ისინიც უნდა გაფიცულიყვენ, რასაც რკინის გზის მიმოსვლის შეჩერება მოჰყვებოდა. მარა ამას დაასწრეს და მუშათა მოთხოვნილების დაკმაყოფილებით მუშაობა კიდევაც დაიწყეს. ამ ჟამათ ეს მოძრაობა თითქმის დაბოლოვებულია.

— ახლა თანდათან ნათლათ ხდება თუ ვინ ყოფილან დრეიფუსის მოწინაალმდეგენი. ესენი გახლავან საზოგადოთ რესპუბლიკის მტერნი, ბონაპარტისტ-ორლეანისტები, რომელთა მიზანია საფრანგეთის ტახტზე ერთი რომელიმე პრინცის წამოსკუპება. ამათ, რასაკვირველია, ემხრობიან პაპის და ეკლესიის თაყვანისმცემელნი კლერიკალები. ამათ შორის მრავალი ღენერლებიც ყოფილან, ერთი სიტყვით ეს კლერიკალურ-მონარქული ორგანიზაციაა, რომელმაც იმდენი იყვირა, იმდენი იდავიდარაბა დრეიფუსის წინაალმდეგ. მარა საკვირველი ის არის, რომ ამათ ჩაითრიეს ბევრი ცნობილი რესპუბლიკანელი და თავის დაფარული მიზნისთვის გამოიყენეს. დემოკრატი როშფორი, ეს კლერიკალთა და მონარქიელთა „მჭამელი“, დღეს მათთან ერთათ ეწევა იმათ საქმეს. ამიტომ როშფორი, რომელიც ხანდახან სოციალისტობასაც ჩემობდა და მისი ნიჭისთვის სოციალისტები პატივსცემდენ, ამ ჟამათ განდევნილ იქმნა იმათ რაზმისაგან. 300 მუშათა ორგანიზაციამ როშფორის წინაალმდეგი გადაწყვეტილება მიიღო. დრეიფუსის საქმემ ის სარგებლობაც მოიტანა, რომ აშკარა შეიქმნა ვინ რა მიმართულებისაა და ვის ვისი იმედი უნდა ჰქონდეს გაჭირვების დროს.

გერმანია. სექტემბრის გასულს ქ. შტუტგარტში მოხდა გერმანიის მუშათა პარტიის წლიური კონგრესი. კონგრესს დაესწრო ორასამდი დელეგატი. სხდომა გახსნა რეიხსტაგის დეპუტატმა ზინგერმა, მან კონგრესს უწოდა „შრომის პარლამენტი“, რომელიც შეძლებს მუშათა უფლებების დაცვას, წინაალმდეგ სხვა-და-სხვა რეაქციონულ პლანებისა, სულ ერთია ის გვირგვინოსანიდან მომდინარეობს თუ უბრალო მოქალაქიდანო. შემდეგ წაკითხულ იქმნა ცენტრალური გამგეობის ანგარიში, საიდანაც, სხვათა შორის, ეტყობილობთ, რომ პარტიის ყოველ დღიური პრესსა შეიცავს 45 გაზეთს, რომელიც 290 ათას ცალათ გამოდის და შემოაქვს სამი მილიონი მარკა. ამას მიემატება ის გაზეთებიც, რომელნიც კვირაში სამ, ორ და ერთჯერ გამოდიან. ქალების ორგანო სახელწოდებით „თანასწორობა“ იბეჭდება ორკვირაში ერთხელ, ხოლო პარტიის სამეცნიერო ორგანო „ახალი დრო“ (die Neue Zeit) კვირაში ერთხელ კაუტსკის რედაქტორობით. ესენია წმინდა პოლიტიკური გაზეთები. ამას ერთვის პროფესიონალური ორგანოები. მაგ. თვითოეული ხელობის შეერთებულ მუშა ხალხს თავისი ორგანო აქვს. ასე რომ ყველა ეს ნახევარ მილიონ ცალამდი ავა და, სულ ერთი აზრით და მიმართულებით გამსჭვალული, ყოველ დღე და ყოველ კვირას ეფინება მთელ გერმანიას. პარტიის დეპუტატთა პარლამენტალური მოქმედების ანგარიში კონგრესს წარმოუდგინა დეპუტატმა ფურმმა. მან განაცხადა: ჩვენ შორის აღმოჩნდა ისეთი, რომელმაც აღიარა, რომ თეთრი კენჭი მივცეთ მხედრობის გასაძლიერებელ პროექტს, თუ კი სამაგიეროთ მთავრობა დაგვპირდება ხალხს მეტ უფლებებს მიცემო. ჩვენ ყველა ამის წინაალმდეგი გავხდით, ერთი იმიტომ რომ პრინციპიალურათ ვებრძვით მილიტარიზმს, მეორეთ, მთავრობა სიამოვნებით გასწევს ამ სამაგიეროს მხოლოთ იმიტომ რომ ჩვენ მიერ მიცემული მეტი თოფ-ზარბაზნის წყალობით ხელ-ახლა წაართვას ის ხალხს და რეფორმები გააუქმოს. პრუსიის მთავრობა ჯარს უყურებს არა მარტო როგორც სახელმწიფოს მფარველს გარეშე მტრისაგან, არამედ აგრეთვე როგორც ბურჟუაზიის მფარველს „შინაურ მტრისაგან“. ე. ი. მუშა-ხალხისაგან. ჩვენ ვითხოვთ მუდმივი ჯარის გაშვებას და მის მაგიერ მილიციის შემოღებასო. ეს აზრი მოწონებულ იქმნა ერთხმათ. დეპუტატმა ფიშერმა წარმოთქვა სიტყვა წინაალმდეგ იმპერატორის უკანასკნელი სიტყვისა შესახებ გაფიცვის შევიწროებისა. ლიბკნეხტმა ილაპარაკა პრუსიის ლანდტაგის დეპუტატთა არჩევნების შესახებ. ამ არჩევანს მხოლოთ ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს და ნება მივცეთ ადგილობრივ ორგანიზაციებს თვითონვე გადაწყვიტონ, მონაწილეობა მიიღონ თუ არა. ოღონდ ეს კი ახსოვდეთ, რომ მუშა-ხალხს არასოდეს არ შეეძლება, მისი ხმის მეზლუდვის გამო, საკუთარი კანდიდატი გაათეთროს. და თუ მაინც გადაწყვეტენ არჩევანში მონაწილეობის მიღებას, თავისი ხმა უნდა მისცენ ბურჟუაზიულ პარტიების იმ კანდიდატთ, რომელნიც პირობას დადებენ: 1) მოითხოვონ პრუსიის ლანდტაგისათვის, საყოველთაო, პირდაპირი და დახურული კენჭის ყრის უფლება და 2) ეწინაალმდეგონ ყველა კანონ-პროექტს, რომელიც კი ხალხის უფლების შემცირებისაკენ იქნება მიმართულიო. წინადადება მიღებულ იქმნა დიდი აღფრთოვანებით. შემდეგ, მრავალ ორატორთა შორის, ილაპარაკა ერთმა მთა-მადნის მუშამ, რომელმაც დაახასიათა გაჭირვებული მდგომარეობა მადნების მომუშავეთა და მოითხოვა განსაკუთრებითი კანონები მათ სასარგე-

ბლოთ. თანახმათ ამისა კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება. მიღებულ იქმნა აგრეთვე კაუტსკის, ბებელის და ლიაბკნეხტის შემდეგი წინადადება: „სახელმწიფო ბაქების პოლიტიკა (პროტექციონიზმი) გერმანიაში, ისე როგორც ყველა სამრეწველო სახელმწიფოში, ეწინააღმდეგება პროლეტარიატის და მომხმარებელთა ინტერესს და წინ-ეღობება ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარებას...“, ამიტომ ვითხოვოთ იქმნას გაუქმებული ან და ძლიერ შემცირებული ასეთი ბაქები უცხო საქონელზეო. ამ უმთავრეს წინადადებათა გარდა, მრავალი უფრო წვრილი წინადადებანი განიხილეს, ზოგი უარ ჰყვეს, ზოგიც მიიღეს. მიღებული წინადადებათა კანონმდებლობაში გატარება დაევალა პარტიის დეპუტატთ. ისინი პარლამენტში შესაფერ პროექტს წარადგენენ და მის გაყვანას იმეცადინებენ. კონგრესმა გასტანა სამი დღე.

სათათრეთი. ინგლისური გაზ. „ტაიმსი“ წერს: ვანის მაზრაში მოხდა სომხების და თათრების შეტაკება. სომხები მოდიოდენ რუსეთიდან. ამათში 49 მოკლული თუ დაჭრილი იქმნა. სათათრეთის მთავრობის სიტყვით ისინი ყოფილან რევოლუციონერები და ეკუთვნიან ვანის მაზრას. მოკლულ იქმნა მხოლოთ 15-იო.

ბაზარი. სიმინდმა უცვლ აიწია ფასში, ლონდონში ამ ქამათ $69^1/_2$ კაპ. იყიდება ფუთი.



***

ᲛᲘᲚᲘᲐᲜᲘ

ᲛᲘᲚᲘᲐᲜᲘ

ᲛᲘᲚᲘᲐᲜᲘ

თეს ამ გზის გაყვანას, ახალ-ახალი გზების რიცხვი, თუმცა ნელა, მაგრამ მაინც იზრდება. როცა კი ნედლი მასალები, რკინა და ქვა-ნახშირი, თავისუფლათ იწყებენ დაშორებულ პროვინციებიდან ჩინეთის სამრეწველო ცენტრებისაკენ დენას, მაშინ იგრძნობს ჩვენი დასავლეთი ჩინეთის ეკონომიურ ძლიერებას. მაგრამ ამისათვის დიდი დროა საჭირო იმ დამაბრკოლებელ მიზეზთა გამო, რომელსაც წარმოადგენს დიდს სივრცეზე გადაშლილი ჩინეთი.

V.

მუშათა კლასის მდგომარეობა ჩინეთში და იაპონიაში შემაძრწუნებელია იმათთვისაც კი, რომელნიც იცნობენ ევროპის სამრეწველო ცენტრთა ყველაზე უფრო ბნელსა და საზარელს კუთხეებს, სილეზიის და ჩრდილო იტალიის მუშათა ჯოჯოხეთს. იქ თავისუფალ ხელოსანთა პროლეტარებათ გარდაქმნა თავბრუ დამხვევი სისწრაფით წარმოებს. არსად ევროპაში, მსგავსი არა ჰყავს იმ ულმობელს სიმხეცესა და გაუმაძღრობას, რამდენათაც წუწნის სამუშაო ძალას ახალგაზდა აზიელი კაპიტალიზმი.

ჩინეთში მუშის დღიური ქირა უდრის 20 კაპ. უარესს დღეში არიან იაპონიის მუშები. ელჩთა და მოგზაურთა ოპტიმისტურ მოხსენებებიდან ჩანს, რომ იაპონელი მუშა ვერ იღებს $^1/_6$ ამერიკელი მუშის და $^1/_5$ ინგლისელი მუშის ქირას. ბამბის სახვევ ქარხნებში მამაკაცები იღებენ 15 კაპ. და დედაკაცები 10 კაპ. ზოგ ქალაქებში უფრო ნაკლებსაც. დედაკაცის შრომა თან-და-თან დევნის მამაკაცისას, ხოლო ბავშების შრომა—დედაკაცისას. მუშათა კლასი შევიწროებულია ისე, როგორც არსად მთელს დედამიწაზე. სამუშაო დღე უდრის 12-14 საათს რვა წლის ქალებისათვისაც კი. ადამიანურ ღირსებაზე, პიროვნულ თავისუფლებაზე ლაპარაკი ასეთს პირობებში მეტია. თავისი უმაღლესი გამომეტყველება იაპონიის ახალმა კაპიტალისტურმა წყობილებამ მოიპოვა შემდეგში: მუშას არ შეუძლია სახელოსნოში ჩადგეს, სანამ ნება-რთვა არ აუღია წინანდელ ალისაგან. ეს ხომ იდეალია! ახლა ჩვენთვის ნათელია იაპონიის წარმატება. მისმა ახალგაზდა კაპიტალიზმმა ისარგებლა უკანასკნელი ტეხნიკური გაუმჯობესებით, ხოლო სამუშაოთ კი ხელში ჰყავს ადამიანთა ნახირი, დაბეჩავებული და დამონებული; ის არ ხედავს ხალხისაგან რაიმე მკაცრს მოთხოვნას, განცხრომით მისცემია ფულების უსირცხვილო ბოჭვას მისი, კისრიდან და ზიზღით შეცქერის ადამიანთა უფლებებს.

VI.

ახლა დავასკვნათ. განსაცდელი, რომელიც მოელის ევროპას ყვითელ კანიანთა ეკონომიურათ გაძლიერებისა გამო, არის არა შორეული, არამედ უკვე არსებული. სამრეწველო ცივებ-ცხელებამ ინდოეთიდან იაპონიაში ისკუპა, იაპონიიდან მოედვა ჩინეთს. იაპონია უკვე ხელს აბანინებს ევროპას ახალსა და ძველი ბაზრებიდან და აქაც არ ჩერდება. რა მოელის ევროპას, როცა სრულიად გაიღვიძებს ეს შრომის მოყვარე, მილიონი 400 მილ მცხოვრები ჩინეთისა? ძალით სავსე ენერგია ახალგაზდა კაპიტალიზმისა, რომელიც შეიარაღებულია უახლესი გაუმჯობესებული ტეხნიკური ძალით, სასწაულებს დაატრიალებს. რა მოუვა ევროპას?

ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა მდგომარეობაში იქნება იმ დროს სოციალური კითხვა, ე. ი, საკუთრებისა და წარმოების ორგანიზაცია.

ყველაზე წინ თვით იაპონიასა და ჩინეთში გარემოებათა ბუნებრივი შეჯახება გამოიწვევს ისეთსავე ცვლილებს, როგორიც უკვე გამოიარეს ევროპის ბურჟუაზულ სახელმწიფოებმა. იმატებს მილიტარიზმი, გაიზრდება ბიუჯეტი და დააწვება მხარეს კისერზე; დაიწყება სავაჭრო კრიზისები; უფრო და უფრო შეკავშირდებიან პროლეტართა რაზმნი; მუშები გათვითცნობიერდებიან, მეტის მთხოვნელნი გახდებიან, დააახლოვებს მათ ევროპიელ მუშებთან, და ეს კი არაფერს საშიშროებას არ შეიცავს ევროპის მცხოვრებთა უმრავლესობისათვის.

მეორე მხრიდანაც შეიძლება მიუდგეთ ამ კითხვას ვისთვისაა საშიში აღმოსავლეთის მრეწველობის განვითარება? მარტო ევროპის ბურჟუაზიისათვის. სხვა გვარ, არა კაპიტალისტურ, წეს-წყობილებაში ბაზარს სრულებით არ ექნება არც ის აზრი, არც ის მნიშვნელობა, რომელიც მას ეძლევა ახლა. თუ ევროპის სოციალურ ეკონომიური წეს-წყობილება შეიცვლება მანამდის, სანამდის უკანასკნელ განვითარებამდე მიაღწევდეს შორეული აღმოსავლეთის ვაჭრობამრეწველობა, არავითარი განსაცდელი ევროპას ამ შემთხვევაში არ მოელის.

ასეთია ამ კითხვის ორგვარი შესაძლებელი ახსნა. მაგრამ არის მესამეც, რომელსაც ჩვენ უფრო ვეთანხმებით და სარწმუნოთ მიგვაჩნია. შორეული აღმოსავლეთის გამოღვიძება დიდ გავლენას იქონიებს ევროპის სოციალურათ გარდაქმნის საქმეზე. მეტოქეობა იაპონიისა, ჩინეთისა (აგრეთვე ინდოეთისა), კიდევ უფრო გაამწვავებს ევროპის მდგომარეობას. აღმოსავლეთში ბაზრების თან-და თან დაკარგვა გამოიწვევს ევროპის ნაწარმოებთა გამრავლებას, ყველა ბაზრებიდან გამოძევებული ევროპა გასაჭირში ჩავარდება. კრიზისი-კრიზისს მოყვება, არეულობა არეულობას, ჯახი-ჯახს. ეს დაასუსტებს კაპიტალისტურ რეჟიმს და გამოიწვევს რეფორმებს, რომლის მიმართულებაც არავისათვის სადავო არ იქნება. ახალს წყობილებას კი თავისი შინაარსის მეოხებით არავითარი ეტოქეობ-ს შიში არ ექნება... ბევრი საშიშროება ნისლივით იფანტება, თუ კი საქმეს ფხიზელი გონებით შევხედავთ.

ჟენევა. B. Bt.

„გულცივობამ“!...

(ეტიუდი)

ვოდა ხევ-ს შესართავთან პატარა კლდეზედ მოთავსებულმა გაბრომ ყურებამდის მხრები აიწურა, შუბლი დაინაოჭა და მწარის ღიმილით, ჩაჟინებით მზერა დაუწყო იქავე, ფეხთ ქვევით, განრისხებულ არაგვს.

ჰჩქეფს, ღრიალებს არაგვი!.. მთლათ ზვირთებათ ქცეული იერიშით მოდის პატარა კლდის შესამუსრავად, რომელიც თითქოს დარაჯათ ჩასდგომია უპატრონოდ მიტოვებულ „ბებრის ციხეს“, რომ ვაცოფებული არაგვი აუცეროს იმ ფშხვიერ გორაკას, რომელზედაც ჩვენ წინაპართ არსებობის დასაცველათ აუშენებიათ ე'ს ციხე.

მაგრამ პატარა კლდე მწუხარებით უმზერს და თავის მკერდს უშვერს მედგარ ტალღებს, რომლებიც შუილ ხუილით ეკვეთებიან და იმავე წამს დანაწილებულნი, შხეპებათ ქცეულნი კვნესით უკუ გარბიან.

გაწბილებული არაგვი ნაზათ ჩაუდის „ბებრის ციხეს“, მაგრამ პირ ქათ მოსულობა კი ამხელს, რა ძალდატანებითი სინაზეც არის, რანაირ შხამითაც არის აღვსილი მისი სინაზე.

„ბებრის ციხეს“ ჩაცილებული არაგვი ძალას იკრებს და მხიარულის ღრიალით მუქარას უთვლის პატარა კლდეს; ემუქრება და მიეშურება...

საით?..

„არაგვო, არაგვო!..—გულის ტკენით ჩაჰჩურჩულებს პატარა კლდე: „რას ამოგიღივარ თვალში, რისთვის მოგინდომებია ჩემი შემუსვრა?! ნუ თუ უპატრონოს დარაჯობისთვის?! ეჰ, ჩემო კარგო, რადა ხარ მაგეთი ხარბი?.. აბა მიიხედ მოიხედე: რა დიდია შენი კალაპოტი. რო გაიფანტო, ვერც კი დაჰფარავ. კარგი. მეც შემმუსრე, გააფართოვე შენი კალაპოტი. მერე? ჰმ!.. ვისთვის გინდა? მაგრე სისწრაფით რომ გარბიხარ და თან მუქარას მითვლი, თუ გგონია გიძმოს, რომლის იმედითაც მემუქრები?!. ნუ სტყუვდები, ჩემო კარგო არაგვო, ნუ!.. იმისი ტკბილი ხმა ნანათ ნუ შემოგესმის. ის პირველში ძმურათ გიხუტავს გულში; დინჯი, მეტის-მეტათ დინჯი შენს ფეხს იდგამს და მკლავ გადახვეული მოგიხტის გვერდით, და იმას კი ველარა ჰხედავ, ოუ თან-და-თან ბურუსში როგორა გხვევს და...

სადღაა შენი ხსენება?..

„დიდებული მტკვარი მოდისო“.—გაიძახიან ქვევით, და შენი სახელი კი...

„ეეხჰჰ!..—გულ-ამოსკვნით წამოიძახა გაბრომ და შუბლზედ ხელი გადისვა.

მწუხარებამ ისე მიასუსტა, დაუჩლუნგა გონება, რომ დიდხანს, დიდ-ხანს შუბლ შეკრული და მხრებ აწურვილი გაქვავებული იჯდა. ამ დროს განმავლობაში არავითარ აზრს არ გაუვლია მის თავში.

გზა დაბნეულ ცხვარსავით მოვიდა და კლდეზედ მოლეშით ჩამოჯდა. არ შეუმჩნევია გაბროს არც არაგვის ბრძოლა კლდესთან, არც ეტლების გრიალით იქავე გზატკეცილზედ და არც ის, თუ თან-და თან როგორ მისწყდა ფეხის ხმა, და მხოლოდ არაგვიღა ქუხდა. ვერც მთვარის ამოსვლა შენიშნა გაბრომ, და ეხლა, როდესაც თავის და უნებურათ გულის სიღრმიდან კვნესა აღმოჰხდა და ცივი ოფლი შუბლიდან მოიწმინდა, მთვარეს შეჰხედა, რომლის დანახვაზედაც, გული მოეკუმშა, ყელში მოებჯინა. თვალი საჩქაროთ მოაშორა და არე-მარეს გადაავლო, მაგრამ იქაც, იქაც იგივე შეჰნიშნა: მთა, ღრე, მდინარე მთვარესავით გულცივათ შეჰსცქეროდა გაბროს.

აგერ, გაღმით ჭალიდანაც ბულბულის აღგზნებული ყეფა „ტია-ტია“ ოდნავ გამოისმა და არაგვის მოთქმას შეუერთდა.

„ეგ... ეგ მაშინაც ჰყეფდა. მაგრევე გატაცებით, როდესაც მე აქავე... ოოხ!..“

საფეთქლებზედ ხელი მიიფარა და მწარეთ, მწარეთ ქვითინი მორთო.

სწრაფათ გადაეფურცლა მისი ცხოვრების მატიანე და სანუგეშოთ ვერა ჰპოვარა. მხოლოთ ერთ გარემოებას მოჰკრა თვალი, რომლის იმედითაც ლამობდა შელახული ძალის აღდგენას, და ესეც ხომ...

„ღმერთო, ღმერთო!..“—წამოიკვნესა გაბრომ და უფრო მაგრათ მოუჭირა თავს ხელები.

„წყვდიადში ხეტიალი, ხელების ფათური—ქვითინებდა გაბრო: როდემდის უნდა გაგრძელდეს?.. ან კი რათ უნდა ხელი აფათურო, რას ელტვი, რისთვის, ან ვისთვის სცხოვრობ?..

— რას სულელობ, რას?.. სადაური კითხვაა:

„ვისთვის, ან რისთვისო“?—ეკითხება იდუმალი ხმა

— რომ მაგრე მკიცხავ, გეცოდინება რისთვისაც.

—გაბრომ შესწყვიტა უეცრივ ქვითინი და თვალები მოიწმინდა.

— ვიცი და ამისთვის გეუბნები.

— ოოხ, მითხარ, მითხარ!.. ოღონდ ეს გამაგებინე და... ვფიცავ ჯოჯოხეთს, რომელსაც ჩემ გულში დაუბუდნია, გაგაღმერთებ, გეთაყვანები!—გაბრო წყინვებული თვალებით შეეკითხა ზეცას.

— ვისთვის და საზოგადოებისთვის.

— ჰმ!.. მეც არა ვსთქვი, მართლა იცი!..—გულნატკენათ წამოიძახა გაბრომ და თვალები მჩქეფარე არაგვს მიაყრდო.

— რატომ მაგრე მწარეთ იღიმები?.. შენ გეკითხები: მაშ არ უნდა ემსახურო იმას, ვინც დაგბადა, აღგზარდა?!. ვალს გარდახდა არ უნდა?

— შეგნებულათ მეუბნები მაგას?

— შეგნებული რომ არ მქონდეს, არც გეტყოდი.

— მაშ კარგი, ყური დამიგდე: საზოგადოებამ დაგბადაო მეუბნები, ეგ ტყუილია. მე, არ ვიციკია რა განზრახვით, ბუნებამ დამბადა. ხოლო საზოგადოებამ წამართვა ის, რაც ბუნებამ მომანიჭა. ან კიდევ,

თუ არ წამართვა, დამიმახინჯა, გამირყვნა და შემილახა.

„აგერ, არ გეყურება, როგორ გატაცებით გალობს ბულბული?! ეგალობება და გალობს. შენ კი საზოგადოება ძალას გატანს, იცინო, როდესაც გეტირება და იტირო, როდესაც გეცინება. საზოგადოებას, რომ ის მიეუწყო, რაც მე იმან, მაშინ ის, აი, წინ უნდა გავიმძღვარო და ჯერ ის მივანდო არაგვს და მერე მე მივეცე. გულ-ქვა, გულ-ცივი, თავის წევრის ფეხის დამჭირებელი საზოგადოება მოდის და გეუბნება: „შენ ჩვენი მოძმე ხარ, ესა და ეს ჩვენთვის უნდა გააკეთოვო!.. გვანაცვალე ჩვენ ვინც კი გყავს, ან გაქვს რამე. შენ მოვალე ხარ...“ კარგი და პატიოსანი. თუ მე ვარ მოვალე, პატივცემული საზოგადოებავ, შენც მოვალე ხარ; თუ მე შენ გეკუთვნი, შენ კიდევ მე უნდა მეკუთვნოდე. საზოგადოება მსხვერპლს გთხოვს, ძალას გატანს. შენ კი დანა ყელთან რომ გქონდეს მოტანილი, ხელს გამოგიწვდის საშველათ?.. როდის გაუწვდია თავის წევრისთვის ძმურათ ხელი, გაუმხნევებია სასოწარკვეთილი, აღუდგენია სულით დაცემული?

„გეყურება? შენ გეკითხები, შენა, რომ საზოგადოების ვალს თავს მახვევ.

— სტყუი. საზოგადოება ყოველთვის გლოვობს, როდესაც მის წევრს უბედურება რამ ეწვევა.

— ხა, ხა, ხა, „გლოვობსო“!.. დიაღ, გლოვობს, სწუხს, სტირის, მაგრამ, აბა, ჩაუკვირდი, რას წარმოადგენს ეს გლოვა, ტირილი, მისი ცრემლი? დაკარგულ წევრს გლოვობს თუ თავის თავს; დაკარგული წევრისთვის აფრქვევს ცრემლს, თუ თავის თავისთვის? აბა, შენ იყავ მხოლოთ ადამიანი, უჩინარი, თუ შენ გიგლოვოს, ცრემლი აფრქვიოს? იმას ჰგონია, რომ შენის დაკარგვით არა დაკლდებარა. შენს უბედურებას ვერც კი შეიტყობს. თუ მასხარა ხარ, საზოგადოება გიგლოვს, ცრემლს დააფრქვევს, რადგანაც მოაკლდება შენი მასხარაობა, ეელარ იმხიარულებს შენის მასხარაობით. შენ გიგლოვს, როგორც მასხარას და არა როგორც წევრს-ადამიანს. მწერალი ხარ ან სხვა რაიმე ხარ, რითაც შენ საზოგადოებას ამხიარულებ, ასარგებლებ, გიგლოვს, რადგანაც შენის უბედურებით აკლდება მას სიამოვნება, სარგებლობა. შეიგნე, რომ თავის სიამოვნების შემცირებას გლოვობს და არა დაკარგულ წევრს? მაშ..

„ეჰჰე, რეებს მალაპარაკებ?!. რაც ცხადია, რაც ნათელია, იმას ახსნა, განმარტება უნდა?

„თვით მონა, ყურმოჭრილი მონა ძლიერისა ცდილობს დაგიმონავოს, გაგანადგუროს, სისხლი გაგიშროს, და ამ საზოგადოებისთვის მირჩევ კიდევ ეიცოცხლო, ვალი გადაეუხადო?

„ახ, რომ შემეძლოს მისი ვალის გადახდა?! მაგრამ არა!.. არა!.. არ მინდა მეც ის საძაგლობა ჩაეიდინო, რა საძაგლობასაც ის აყენებს თავის წევრს. ფლიდობა, მოღალატობა, სუსტის განადგურება, ძალმომრეობა და ფეხ-ქვეშ დაგება მე არ შემიძლიან; და, თუ ასე არ მოიმოქმედე, მაშინ ადგილი არა გაქვს საზოგადოებაში. ამისთვის მეც...

— კარგი. მაგას თავი დავანებოთ. ესთქვათ, შენ მართალი ხარ...

— როგორ თუ ესთქვათ?!. მაშ დარწმუნებული არა ხარ?

— როგორ არა!.. დარწმუნებული ვარ. დავანებოთ თანამედროვე საზოგადოებას თავი, სიძულვილის ღირსია. აბა, ახლა გაიხედ გამოიხედე: ჰხედავ, აგერ იქ ზედაძნის საბეროს მთის წვერზედ, ქვევით კიდევ ჯვარ-პატიოსნისას, მცხეთის ტაძრებს, ნანგრევებს და აი, შენს გვერდით „ბებრის ციხეს“?! ვერ ჰხედავ, როგორ გამოკრთიან მთვარის შუქზედ? ნუ თუ შენს სულს და გულს შენი დიდების მოწამენი არას ეუბნებიან?! განა ყოველივე ეს შენ წინაპართ არ გაგონებს, როდესაც მათი სიცოცხლე დუღდა და გადმოდიოდა ამ მხარეს?!. განა...

— კმარა!.. ეხედავ, კარგათ ეხედავ ჩვენ წინაპართ დიდებას და იმასაც კარგათ ეხედავ, რომ ამ დიდებას ჩვენი გათახსირება, არარაობა მოჰყვა. რას წარმოადგენს ის დიდება, რომელსაც შედეგი ასეთი ექმნება? ჩვენი არარაობა იმ დიდების შემდეგ უფრო მწვავია, უფრო...

— აი სწორეთ ამ გათახსირების დროს უნდა ბრძოლა.

— ოხ, მომეც რწმენა მომავლისა და, აი, ამ მთას მეორე ნაპირას გადავდგამ, თავს შევაკლამ...

— შვენიერ არსებას შეუძლიან მოგანიჭოს რწმენა, გამოგარკვიოს და...

— სსს!..—მწარედ წაისისინა გაბრომ ამ სიტყვებზედ და დაღრეჯით თავი გაქნივ-გამოიქნია.

— რა იყო?

— ნულარას მკითხავ, მომშორდი!

— კარგი. ყოველისფერში მართალი ხარ. მაგრამ ერთ კითხვაზედაც მიპასუხე: მაგრე რამ გამოგაშტერა?..

— საზიზღარო, მომშორდი, არ გეყურება?

ადამიანი უკიდურესს მდგომარეობამდის მისულა და შენ გულ-გრილათ მასხარათ იგდებ!.. აი, მაგ გულცივობამ გამიტეხა გული, გულცივობამ!..

— ნუ თუ: გულშემატკივარი არავინა გყავს, რომ თავს იმეტებ?!. განა შენის სიკვდილით არავის აატირებ, გულწრფელათ ცრემლი არავის არ წამოსცვივა?!.

— წყვილი ცრემლიც რომ გადმოაგდოს ვინმემ გულწრფელათ, ეფიცავ, თუნდ ამ ნანგრევებს, ამ „დიდების მოწამეთ“, როგორც შენ მონათლე, ავიტანდი ყოველგვარ ტანჯვას! ოღონდ თბილი, გამაცოცხლებელი ცრემლი მოჰხვდეს ჩემს მკერდს და მკვდარიც კი გავცოცხლდები. მაგრამ სადაა, სადა?!. ეეძებდი, მაგრამ...

მხოლოთ არაგვი ეიპოვე. აი, ვერ ჰხედავ, თა-

ვისკენ მიწევეს, მეალერსება?.. ცრემლები მზათა აქვს... ყველას მკერდს აპკურებს, დაალბობს თბილი, გამაცოცხლებელი ცრემლებით კი არა, ცივი, მომაკვდინებელით. აი, ესე, როგორც ჩემ მკერდს. .

„აახ!..“

არაგვი ოდნავ შეჩქაფუნდა, შეშოშმინდა და სწრაფ ისევ-ისევ, ჩვეულებრივი დენა დაიწყო; მთა, ღრე, „დიდების მოწამენი“ ისევ-ისე გულ-გრილათ, ცივათ გადმოჰცქეროდნენ პატარა კლდეს, რომელიც უკვე განთავისუფლებულიყო ზედ მოთავსებულ გაბროსაგან, და მთვარე ხომ...

ბულბულიც ისევ აღგზნებით ჰყეფდა „ტიატიასა“.

შ. არაგვისპირელი.

დ. სურამი

წერილი რედაქციის მიმართ.

„ᲙᲕᲐᲚᲘᲡ“ მუ 39 ნომერში დაბეჭდილია ბატ. ს. გა—ძის კორრესპონდენცია, სადაც იგი ამბობს, რომ ჭიათურაში რკინის გზის შტოს გაუკეთეთ და ზესტაფონში შავი ქვის ტრანსპორტის შესუსტებით არა დაგვეკლებიარო. ბ. კორრესპონდენტი რატომ არ დაუფიქრდა რომ 94 წლამდე უკვირილაში შავი ქვის ურმებით გადმოტანით, სულ მცირე რომ ვთქვათ, ერთი მილიონი მანეთი მაინც გადადიოდა ადგილობრივ მკვიდრთა ხელში. ამის ხელიდან გამოცლას ადგილობრივ მკვიდრთა და მოვაჭრეთა გარდა თვით შავი ქვის პატრონებიც გრძნობენ.—94 წლიდან ზოგიერთი ადგილობრივი მცხოვრებნი კიდევ იმით იბრუნებდენ ხელს, რომ მიუხედავთ რკინის გზის გაკეთებისა, ზაფხულობით ზოგიერთ მწარმოებლებს მაინც გადმოჰქონდათ სად. უკვირილამდე შავი ქვა ურმებით, თუმცა წინა წლებზე შედარებით $^1/_2$-$^1/_3$ ნაკლები ქირით, და ამით იკმაყოფილებდენ ზოგიერთ მოთხოვნილებებს. მსოლოთ დღეს ეს საშუალებაც ხელიდან ეცლებათ, რადგან, როგორც ისმის, რკინის გზის ძართველობაც ჭიათურიდან შორაპნამდე ქვის გადმოტანის ტარიფს უკლებს, რასაც უკვირილამდე შავი ქვის ტრანსპორტის სრულიად შეწყვეტა მოჰყვება. თუ ეს ასე არ მოხდა ადგილობრივ მცხოვრებთა სასეირო მაინც არა იქნება რა, რადგანაც 2—4 დღის საკვლიდან 6—7 კვირეკათ უნდა ჩამოიტანონ ფუთი და ისიც 20% გამორიცხვით წმინდა წონისგან, რაც ეს ორი წელიწადია შემოიღეს ზოგიერთმა შავი ქვის მწარმოებლებმა, უწინ კი 10% იყო „სკიდკა“. ასე რომ მკვიდრთ თუ სხვა წყარო არ აღმოუჩნდათ შრომისა, მაშინ უფრო უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდებიან.—ბ. ს. გა—ძე კი ბრძანებს, არა დაგვეკლებია რა, ცხოვრება დუღს და გადმოდისო. რას უწოდებს ის დუღილს? ნუ თუ იმას რომ ზოგიერთ მოვაჭრეებს მუდამ ნაქირავებ დუქანში დგომამ თავი მოაბეზრა, ერთი მეორეს ეგვიანა და 10—15 კაცმა დუქნები აეშენეს, და თავის თავს ახალი უბნელები უწოდეს? ეს კერძოური დუღილია შედარებით ათასის და კიდევ მეტის დრტვინვა გოდებასთან, შეეცდით რომ სელი მოუწერეთ ჭიათურის რკინის გზის შტოს გაუკეთების თანხმობაზეო. თქვენი მიზანი ეოფილა ახალი უბნის და საიარმუკო მოედნის მოწონება და ძველი უბნის და საიარმუკო მოედნის დაწუნება. მსოლოთ მოსწონ მსარეს ახალი მოედნისას, და ძველის უკარგისობისას კი არ სწერთ. თქვენ გსურთ ძალათ მოაწონოთ ის, რაც მოსწონი არ არის... რაც შესებბატ. მაზრის უფროსის წინადადებას დარბაზის ნის და უკირილის ბასადათ დამტკიცების შესახებ მოა რაკების აღმოჩენა და სხვა, გისურვებთ ეს სიტყვათ დარჩენილიყოს და საქმითაც ასრულებულიყოს.

დროებით მეთვალყურე.

—

„ᲙᲕᲐᲚᲘᲡ“ 39 №-ში დაბეჭდილია წერილი ფარცხმიდან (გურია) რომლის უმეტესი ნაწილი ეოველიგე სიმართლეს მოკლებულია. მოამბე მოგვითხრობს: პირველ წელს ბაგშების რიცხვი ასამდის ადიოდა და ახლა კი ორმოცდა ათის მეტი არ არისო. არეიცი ღმერთმანი საიდან გამოიგონა ავტორმა ასეთი ტოტალური ტყუილი! მე მეკვეს ოთხმოცდა ათი მოწაფე და დანარჩენი კი უადგილობის გამო კიდევ ბევრი თვალტრემლიანი გაბრუნდენ თავ-თავის სახლებში. ავტორი ამბობს, სწავლა სუსტათ მიდისო; ჩემი მხრით ამაზე ბევრი თავის მართლება საჭირო არ არის, რადგანაც ეს თავის ქება გამოვა და მსოლოთ ვიტყვი იმას, რომ უველა ჩემი ავ-კარგი ეოველ წლობით რამდენჯერმე განიხილება დანიშნულ უფრო მცოდნე პირისაგან და სადაც ჯერ-არს იქ მოხსენდება; ბატონი მოამბე უნდა იყვეს აღტურვილი პირადი ინტერესებით, ან და თითონაც არ იცის რაზე წერს.

მისი აზრით ბრიგოგორი, რომელიც იყო დადგენილი შესახებ მეორე კლასის გახსნისა, ვითომც ჩვენი დაუდევრობით, მიძინებულია. ნუ თუ მოამბემ ის გაიგონა, რომ ბრიგოგორი დაადგინეს და იმას კი არ მიაქცია უურადღება რა სახით იყო დადგენილი. მოამბე თითონ ამტკიცებს რომ სოფელი სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ქონებრივათ ღარიბიაო. აი, ამიტომ ჩვენც ვთხოვეთ მთავრობას, რომ იმას ეძლია პირველ მასწავლებლისათვის ჯამაგირი, მაგრამ ჯერ პასუხი არ მიგვიღია. საჭიროა კორრესპონდენტმა სიმართლე წეროს და რედაქცია და საზოგადოება შეცდომაში არ შეიყვანოს.

ფარცხმის სკოლის მასწავლებელი ალექ. სანაძე.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Дозв. ценз. Тифлисъ, 10 Октября 1898 г. Тип. М. Д. Ротиніанца—სტამბა. მ. დ. როტინიანცისა Гол. пр. д., № 41.